სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

10 მარტი, 2026 წ.

ბრძანება №01-02/50

2026-2027 სასწავლო წლისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული **ერაზმუს + სასწავლო** გრანტები გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობისთვის ბსუ-ს **სტუდენტების გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილების, ,,ERASMUS + საგრანტო პროექტის, ,,ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სტრუქტურული რეორგანიზაციის თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 12 თებერვლის №07-01/03 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს №01-02/155 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის ტიტე არაშიძის 2026 წლის ანაზღაურებადი შვებულების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 05 მარტის №01-06/56 ბრძანების და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2026 წლის 05 მარტის №266583 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2026-2027 სასწავლო წლისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს + სასწავლო გრანტები გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობისთვის <u>ბსუ-ს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების</u> გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები:**

1.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის N06-01/131 დადგენილებით განსაზღვრული) მიღება ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით - **2026 წლის 10 მარტიდან - 30 მარტის ჩათვლით, 15:00 საათამდე;**

1.2 წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - **2026 წლის 31 მარტი - 10:00 საათიდან** (კრიტერიუმები - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილებით დამტკიცებული „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის" შესაბამისად);

1.3. ტესტირება/გამოცდა ინგლისურ, გერმანული ან/და ფრანგული ენებში (B1/B2 დონე) - 2026 წლის **02 აპრილი,** 11:00 საათი (ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი, №4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (შესაბამისი უცხოური ენის B1/B2 ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან);

1.4. გასაუბრება შესარჩევ კომისიასთან - **2026 წლის 06 აპრილი, 10:00 – 17:00 საათი;**

1.5. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მიმღები უნივერსიტეტებისათვის - **არაუგვიანეს 2026 წლის 30 ივლისისა.**

2. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

ა) გიორგი ქათამაძე - თავმჯდომარე, რექტორის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით;

ბ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;

გ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

დ) ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის (12.03.2026 წ.-დან) უფროსი/მთავარი სპეციალისტი - კომისიის მდივანი;

ე) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ვ) ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;

ზ) თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

თ) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

ი) ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;

კ) რუსუდან ხუხუნაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;

ლ) ნარგიზ ფალავანდიშვილი - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი.

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის N06-01/131 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს -ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორის მოადგილე,
სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ქათამაძე**